ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ოქმი №19

ქ. ახმეტა 11 ივლისი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი -ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: გ. ქიტესაშვილი, თ. ბოდაველი, თ. წითელაური, გ. შორთიშვილი, გ. ჯუგაშვილი, რ. ბაღაკაშვილი, ნ. აბალოიძე, მ. ალხანაშვილი, ა. შათირიშვილი, ი. უჯირაული, ზ. გარსევანიძე, ზ. ქინქლაძე, ბ. ჭიჭიკლიშვილი, ც. გრძელივანიშვილი, ა. მაილაშვილი, თ. ბორჩაშვილი,

სხდომა გაიხსნა 4[00] საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

2. "ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის შესახებ.

/მომხსენებელი - ზურაბ გარსევანიძე/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. ზ. ალვანში, კულტურის სახლის შენობაში მდებარე 32.1კვ.მ საიჯარო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ააიპ სპორტული კლუბი „თუშეთის“ ფუნქციონირებისათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთეკაური/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალების ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთეკაური/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას, რასაც საკრებულოს ყველა წევრი დაეთანხმა.

~~მოისმინეს:~~ „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა დამსწრე პირებს განუმარტა საკითხი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტით გათვალისწინებულია ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილის ზრდა 521 910 ათ. ლარით მათ შორის იზრდება ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი 30 000 ლარი და ტრანსფერები 491 910 ლარით (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 06 ივლისის №1401 განკარგულება).

<u>გამგეობა</u>

<u>ზრდა (+)</u>

- საქონელი და მომსახურება (ტრანსპორტის მიმდინარე რემონტი) + 12 000 ათ. ლარი.

კლება (-)

- არაფინანსური (შენობა-ნაგებობები) – 14 000 ათ. ლარი.

ინფრასტრუქტურა
ზრდა (+)

- სოფ. დუისში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა + 66 310 ათ. ლარი (მთავრობის განკარგულება №1401)
- ქ. ახმეტაში ყვარლის ქუჩის მოპირკეთება ასფალტო-ბეტონის საფარით + 122 075 ათ. ლარი (მთავრობის განკარგულება №1401)
- ქ. ახმეტაში თბილისის ქუჩის მოპირკეთება ასფალტო-ბეტონის საფარით + 263 720 ათ. ლარი.(მთავრობის განკარგულება №1401)
- ქვ. ალვანში ბაღის სამირკველის გამაგრება + 39 805 ათ. ლარი (მთავრობის განკარგულება №1401)
- კულტურის სახლი (კაპიტალური) + 54 000 ათ. ლარი

კლება (-)

- სპეც ტექნიკის შეძენა (კაპიტალური) - 12 000 ათ. ლარი
- მუზეუმები (კაპიტალური) – 10 000 ათ. ლარი

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება: 16 - მომხრე

1 - არ მიიღო მონაწილეობა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №18 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: "ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის შესახებ.

/მომხსენებელი - ლალი ებელაშვილი/

მომხსენებელმა დამსწრე პირებს განუმარტა საკითხი:

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №43 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 08/09/2014, სარეგისტრაციო კოდი: 270070000.35.162.016260).

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება: 16 - მომხრე

1 - არ მიიღო მონაწილეობა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №19 - "ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის შესახებ.

მოისმინეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. ზ. ალვანში, კულტურის სახლის შენობაში მდებარე 32.1კვ.მ საიჯარო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ააიპ სპორტული კლუბი „თუშეთის" ფუნქციონირებისათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთეკაური/

მომხსენებელმა საკრებულოს განუმარტა პროექტი:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ზ. ალვანში, კულტურის სახლის შენობაში მეორე სართულზე მდებარე 32.1კვმ საიჯარო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, ააიპ სპორტული კლუბი „თუშეთის" ფუნქციონირებისათვის იჯარის ფორმით გადაცემა, ს/კ 50.01.35.421

დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით გასაცემი სოფ. ზ. ალვანში, კულტურის სახლის შენობაში მეორე სართულზე მდებარე 32.1კვმ საიჯარო ფართის

ა) სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემის წლიური ქირის საფასური -117,0 ლარის ოდენობით.

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 3 (სამი) წელი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება, რასაც საკრებულოს ყველა წევრი დაეთანხმა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №38 – ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. ზ. ალვანში, კულტურის სახლის შენობაში მდებარე 32.1კვ.მ საიჯარო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ააიპ სპორტული კლუბი „თუშეთის" ფუნქციონირებისათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

~~მოისმინეს~~ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალების ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთეკაური/

მომხსენებელმა საკრებულოს გააცნო პროექტი:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ შემდეგ სატრანსპორტო საშუალებაზე:

ა) საკვირთო ბორტიანი ავტომობილი FORD TRANSIT სახელმწიფო ნომრით SQ 401 SQ

განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება, რასაც საკრებულოს ყველა წევრი დაეთანხმა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №39 – ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალების ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს რაიმე წინადადების დაყენების სურვილი არ გამოუთქვამთ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 4[40] საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: თამარ ყეინიშვილი.